15/05/2019

# ჩემო თამარ, ამ ქვეყნისთვის გაკეთებულ საქმეს ნურავინ დაამადლის სამშობლოს – ზვიად სეხნიაშვილი თამარ ჭოხონელიძის გამოსვლას ეხმაურება

17 მაისს, საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით ოჯახის სიწმინდის დღისადმი მიძღვნილი კონცერტია დაგეგმილი, რომელშიც ქართველი მომღერლები მონაწილეობენ. რამდენიმე მათგანმა კი ამ კონცერტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მათ შორის არის თამარ ჭოხონელიძე, რომელიც განმარტავს მიზეზს, თუ რატომ თქვა უარი აღნიშნულ კონცერტში მონაწილეობის მიღებაზე.

როგორც მომღერალმა გადაცემა რეაქცია”-ში სტუმრობისას თქვა, მან ამ კონცერტში მონაწილეობაზე უარი თქვა იმ მიზეზით, რომ ეს იქნებოდა დაპირისპირება ორ მხარეს შორის, რისიც მას ეშინია, გარდა ამისა, თამარ ჭოხონელიძე ამბობს, რომ ის არ ეთანხმება ეკლესიის პოლიტიკას და არ არის ვალდებული ბრმად ენდოს დადგენილ პოლიტიკას. მისივე თქმით, სხვა დღეს რომ ყოფილიყო დაგეგმილი ეს კონცერტი, ის არ იტყოდა უარს.

თამარ ჭოხონელიძე აღშფოთებულია და ნაწყენია საზოგადოების ნაწილის მიერ გამოჩენილი ზიზღისა და აგრესიის გამო მისი და კულტურის სფეროს ცალკეული წარომადგენლების მიმართ, რომლემსაც ქვეყნისთვის რაღაც გაუკეთებიათ, თუმცა ამ

აგრესიამ ყველაფერი გადააფასა.

“ჩემი აზრით ეს არ არის რელიგიური კუთხით, ეს უფრო საპატრიარქოს პოლიტიკაა და ეს ყველაფერი დამტკიცდა 2013 წელს, როდესაც რუსთაველის გამზირზე ხალხი შეიკრიბა ჰომოფობიასთან ბრძოლისთვის და ისინი ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი ცუდია, მახსოვს, რომ საპატრიარქო განზე არ იდგა. მე, როგორც მოქალაქე, რატომ ვარ ვალდებული, რომ ეკლესიის პოლიტიკას ბრმად გავყვე?

სხვათაშორის, პატრიარქს ძალიან კარგად ვიცნობ, მე მას ძალიან ვუყვარვარ და მე ის ძალიან მიყვარს. როდესაც მე დავინახე დაპირისპირება და ამის საშიშროება. დამაბრალეს ისეთი უნამუსობა და საერთოდ, ქართველმა ხალხმა გამოავლინა ის საშინელი სიბნელე, რომელსაც კი ველოდებოდი, მაგრამ მთლად ასეთს არა. ჩენ ვყოფილვართ ის ხალხი, რომელსაც ერთ წამში შეგვიძლია გადავთელოთ ერთმანეთი, რაც გავიკეთებია, არაფერი აღარ არსებობს. ასე გვეზიზღებოდეს ერთმანეთი? ხალხო რა დაგემართათ? ასეთი ზიზღით როგორ დადიხართ ამ ქვეყანაზე? მე ვარ გაოგნებული. მინდა გთხოვოთ, გემუდაროთ და როგორც ქალმა ჩემი პოზიცია დაგიფიქსიროთ, რომ დაპირისპირების შიშის გამო გავაკეთე ეს ყველაფერი, ასე როგორ გამიმეტეთ ან მე, ან ნატო მეტონიძე, ან ნინო ქათამაძე, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია საქართველოსთვის? არ გრცხვენიათ ამხელა ზიზღის გამოვლენა? “- განაცხადა თამრიკო ჭოხონელიძემ გადაცემა “რეაქციაში.”

თამარ ჭოხონელიძის ამ განცხადებას საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ხელმძღვანელის მოადგილე ზვიად სეხნიაშვილი ეხმაურება:
“ჩემო თამარ, ამ ქვეყნისთვის გაკეთებულ საქმეს ნურავინ დაამადლის სამშობლოს, ეს ყველა ჩვენგანის ვალია და მადლობა უფალს, თუ შეგვაძლებინებს. უფალს მადლობა- თქო, რადგან მის გარეშე ჩვენს სამშობლოს ვერაფერს ვერ გავუკეთებთ...
ადამიანის ცხოვრებაში მუდამ დგება გადამწყვეტი წამი, როდესაც თავდადება და ერთგულება ყველაზე მეტად სჭირდება. მარტყოფისა და მარაბდის ომების გმირი იყო ზურაბ არაგვის ერისთავი, ჩვენ არც კი დაგვესიზმრება, იმდენად შეუპოვარი და კარგი მეომარი, დაჭრილმაც კი არ მიატოვა ბრძოლის ველი, სიკვდილის წრეში იტრიალა თავგანწირვით და ერთგულად ემსახურა მამულს, მაგრამ ზუსტად ერთ წელიწადში, ბაზალეთის ძმათამკვლელი ომის დროს და მის შემდგომაც, ლამის თავი მოჰკვეთა ქვეყანას, განუდგა, უღალატა და იმ განდგომამ ბევრი სისხლი ადინა ჩვენს სამშობლოს. ქართველმა ერმა კი არ აპატია ეს ჩავარდნა...
პატრიარქის სიყვარული სწორედ მისი კურთხევის აღსრულებაშია ბოლო ამოსუნთქვამდე და არა მისი პოზიციის აწონ–დაწონვაში, აქ არის ჩვენი გადარჩენის საიდუმლო, რამეთუ ერს, რომელსაც უფალმა მოჰმადლა ასეთი სულიერი მოძღვართმოძღვარი, ვალდებულია დაუფასოს ზეციერს მადლი და ბოლომდე უერთგულოს...
17 მაისს ჩვენ არავის ვუპირისპირდებით, ჩვენ ამ გზით ვიცავთ ჩვენს ოჯახებს

მოძალადე, გარყვნილი ხალხისგან, რომლებიც ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე უზნეობას ამკვიდრებენ და სიბილწეს თესავენ. ასეთ დროს, ყველა ერთად უნდა იდგეს – მომღერალიც და მეეზოვეც, პრეზიდენტიც და მიწის მუშაც, მღვდელიც და მრევლიც – სხვანაირად გადაგვთელავენ...
ღმერთმა დაგვიფაროს, ზიზღის ენით გელაპარაკებოდეთ, პირიქით, გვიყვარხარ თამარ !!!
მხოლოდ, ნება მოგვეცი, დედაეკლესია და სამშობლო უფრო მეტად გვიყვარდეს !!!
იმღერებ თუ არ იმღერებ, მაგით არაფერი აღარ იცვლება...
შენ გული გატკინა ხალხის რეაქციამ და გულწრფელად მებრალები, რადგან საამისოდ არ მემეტები...
იქნებ იმაზეც იფიქრო, რომ ქართველ ერსაც ეტკინა, როცა შეიტყო, რომ თამრიკო ჭოხონელიძე ვერ იქნებოდა მის გვერდით იმ ბრძოლაში, რომელსაც ბოლო არ უჩანს, მაგრამ მაინც ბოლო ამოსუნთქვამდე აკეთებს ერი...
დადექი, სადაც აქამდე იდექი ერთგულად, სიყვარულიდან სიძულვილამდე სულ ერთი ნაბიჯია, ქართველი ერი კი უსაშველოდ მიმტევებელი და მოსიყვარულე...
ერთ წამში შეუძლია ყველაფრის პატიება, თუ სამშობლოსთვის თავს გაიმეტებს ქართველი...

გულწრფელი სიყვარულით – ზვიად სეხნიაშვილ

karibche.ambebi.ge